მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის განმარტებითი ბარათი

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პარამეტრებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გლობალური პანდემიით (COVID-19) გამოწვეულმა მოვლენებმა. როგორც ცნობილია პანდემიის პირობებში 2020 წელს პროგნოზირებულია ქვეყნის ეკონომიკის 4,0%-იანი შემცირება (ნაცვლად 5%-იანი ზრდისა). აღნიშნულმა დიდი გავლენა იქონია საქართველოს მუნიციპალიტეტების და მათ შორის მარნეულის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო შემოსავლებზე. უკვე 2020 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა მარნეულის მუნიციპალიტეტის საგადასახადო შემოსავლები, რომლებიც ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობების 76%-ზე მეტია. კერძოდ დამატებული ღირებულების გადასახადი შემცირდა 2128,4 ათ.ლარით, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით კი შემცირებულია 2660,5 ათ.ლარით. ასევე გასათვალისწინებელია საკუთარი შემოსავლების შემცირების რისკიც, მაგალითად სათამაშო ბიზნესის, როგორც შემოსავლის ერთერთი მნიშვნელოვანი შემადგენლის, ჯარიმების და სხვადასხვა მოსაკრებლის. უნდა აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის შემოსავლების გეგმის არასრულად შესრულების პირობებში მუნიციპალიტეტის გადასახდელების შემცირება მაქსიმალურად მოხდება ადმინისტრაციული და სხვა მიმდინარე ხარჯების შეკვეცის და ინფრასტრუქტურული პროექტების ტენდერების და შესრულებული სამუშაოებიდან დარჩენილი ეკონომიის ხარჯზე.

პანდემიასთან დაკავშირებული გაურკვეველი მდგომარეობა მნიშვნელოვნად ართულებს შემდგომი წლების ბიუჯეტების შემოსავლების პროგნოზირებას. ამასთან, შემოსავლების კუთხით არსებული გაურკვევლობა თავის მხრივ აისახება ხარჯების დაგეგმვისათვის სწორი პროგნოზების გაკეთებაზე. ამ პირობებში მნიშვნელოვანია ბიუჯეტის ხარჯების დაგეგმვა განხორციელდეს კონსერვატიული პროგნოზების ფარგლებში, რათა მუნიციპალიტეტის მიერ არ მოხდეს შეუსრულებელი დაპირებების გაცემა. აღნიშნული ეხება როგორც მიმდინარე (მათ შორის, სოციალურ), ასევე კაპიტალურ ხარჯებს.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მეექვსე პუნქტის შესაბამისად მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მარნეულის მუნიციპალიტეტს აცნობა დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები და მაკროეკონომიკური პროგნოზები, მათ შორის: მშპ-ს რეალური ზრდის პროგნოზი - 2021 წელს 4,0%; 2022-2024 წლებში საშუალოდ 5,8%. 2021 წლის წლიური ინფლაცია - 4,2%. მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ დღგ-ს განაწილებით მისაღები შემოსავლების პროგნოზი 2021 წელს - 15,5 მლნ ლარი;

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით მომზადდა მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახელების წარმოდგენილი გეგმა **34934,1 ათასი ლარის** ფარგლებში, მათ შორის საკუთარი შემოსავლები-**29632,9 ათ.ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის ტრანსფერი- 5301,2 ათ.ლარი.** ამასთან, ბიუჯეტის მომზადებისას ასევე მხედველობაში იქნა მიღებული მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები და ვალდებულებები, ყველა ის სოციალური და ინფრასტრუქტურული დაპირება რაც გაცემულია მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს მიერ.

უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის პარამეტრები 2020 წელთან შედარებით შემცირებულია. შემცირება უკავშირდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღებ კაპიტალური ტრანსფერს და საბიუჯეტო ნაშთს. როგორც ცნობილია, კაპიტალური ტრანსფერი არ არის მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობა და მისი მოცულობის განსაზღვრა არ წარმოადგენს მუნიციალიტეტის კომპეტენციას. კაპიტალური ტრანსფერის პროგნოზირებისას მხედველობაში იქნა მიღებული ქვეყანაში არსებული მდგომარეობა. შესაბამისად წარმოდგენილ დოკუმენტში 2021 წლისათვის მისი მოცულობა განსაზღვრულია 2020 წლის კაპიტალური ტრანსფერის 79%-ის ოდენობით, ჩვენი აზრით კაპიტალური ტრანსფერის ეს გათვლები წარმოდგენს მინიმალურ გათვლებს და მაღალი ალბათობით მისი მოცულობა წარმოდგენილ მონაცემებთან შედარებით იქნება მაღალი. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში კაპიტალური ტრანსფერის მოცულობა დაზუსტდება საბიუჯეტო წლის განმავლობაში, რაც შეეხება საბიუჯეტო ნაშთს - მისი ასახვა ბიუჯეტში განხორციელდება ყველა პარამეტრის დაზუსტების შემდეგ.

მთლიანობაში დაგეგმვისას ბიუჯეტს არ განუცდია მნიშვნელოვანი ცვლილებები, არ შეცვლილა მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები. 2021 წლიდან მისაღები დამატებითი რესურსით მინიმალურად, ინფლაციის შესაბამისად შესაძლებელია გაიზარდოს მიმდინარე ხარჯები, არსებული პარამეტრებით ზრდის ნაწილი მიმართულია ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებზე. ამასთან, ბიუჯეტის მომზადებისას ასევე მხედველობაში იქნა მიღებული მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები და ვალდებულებები, ყველა ის სოციალური და ინფრასტრუქტურული დაპირება რაც გაცემულია მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს მიერ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით მომზადდა მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახელების წარმოდგენილი გეგმა **34934,1**ათასი ლარის ფარგლებში.

შემოსავლებში 21,511 ათასი ლარი არის საგადასახადო შემოსავლები, 7800.3 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები, 250,0 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების შესასრულებლად, 5051,2 ათასი ლარი კაპიტალური ტრანსფერი.

საგადასახადო შემოსავლებში ქონების გადასახადი 2020 წელთან შედარებით არ შეცვლილა და შეადგენს 6,000.0 ათ ლარს, ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადი 3,267.4 ათ ლარით გაზრდილია და შეადგენს 15,511 ათ ლარს.

321,6 ათასი ლარით განისაზღვრა არაფინანსური აქტივების კლების გეგმა.

გადასახდელებში პრიორიტეტებზე თანხები გადანაწილდა შემდეგნაირად :

- ინფრასტრუქტურის განვითარება – **15602,5** ათ ლარი -44,7%;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა - 2131.7 ათ ლარი - 6,1 %;
- განათლება – **5002,0** ათ ლარი -14,3%;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა – **3612,0** ათ. ლარი -10,3%;
- ჯანმრთელობის დაცვა – 190,0 ათ.ლარი - 0.5%;
- სოციალური უზრუნველყოფა – 1630,0 ათ ლარი - 4,7%;
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი - **6765,9** ათ ლარი -19,4%;

მმართველობის ხარჯებში შრომის ანაზღაურების ფონდი არ გაზრდილა და 288 თანამშრომელზე განსაზღვრულია 4,248.4 ათ ლარი.

საერთო ჯამში გადასახდელების 56,0 %-19579,8 ათ ლარი არის „ხარჯები“, 43,8 % -15291,6 ათ. ლარი არის „არაფინანსური აქტივების ზრდა“, 0,2% -62,7 ათ.ლარი არის „ვალდებულების კლება“.